



საქართველოს კულტურის სტრატეგია
სამუშაო შეხვედრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

2015 წლის 6 მარტი

ქ. მცხეთა

სექცია

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები

ფოკუს ჯგუფი

მოდერატორი : მაკა დვალიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

ასისტენტი : ანა შანშიაშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

მონაწილეები:

ნინო მამულაშვილი, თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დანერგვებულზე გაერთიანება, მთავარი სპეციალისტი, ღონისძიებების ორგანიზატორი

გიორგი მამალაძე, მცხეთა, კერამიკოსი

მამუკა მასხარაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მთ. სპეციალისტი.

კლარა თანდიაშვილი, პედაგოგი, დუშეთის კულტ. სამსახურის განათლების სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ქეთევან ველთაური, სოციალური საწარმოს დირექტორი, დუშეთი

სანათა გიგაური, ოსტატი, დუშეთი

შალვა გივიშვილი, მცხეთა მთიანეთის გუბერნია, პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე

ნინო ყორღანია, მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მთ. სპეციალისტი

ძირითადი პრობლემა

კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროს შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.

შენიშვნა: პრიორიტეტულ სფეროებად გამოიკვეთა ტრადიციული რენვა და სამზარეულო, ფესტივალები, მატერიალური მემკვიდრეობის ძეგლები და კულტურული ტურიზმი; ნაკლები ინტერესი თეატრების, კინოსა და თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი.

განსახორციელებელი ქმედებები

- პასპორტიზაცია და სფეროს მონაცემთა ბაზის განახლება
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროს შესახებ
- რეგიონში არსებულ რესურსებზე დაყრდნობით პრიორიტეტული დარგების გამოვლენა
- კულტურასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა
- ზომების მიღება სტაბილური გარემოს შესაქმნელად
- ზომების მიღება ინტერესის გასაზრდელად რეგიონის კულტურული ცხოვრებისადმი, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში

პრობლემები:

გაუმართავი ინფრასტრუქტურა

- კულტურული ღონისძიებებისათვის სათანადო საჯარო ფართის და პირობების არქონა
- არ ხდება ადგილობრივი მასალების, მაგ. მატყლის, სათანადოდ გამოყენება.
- შეწყდა ბუნებრივი საღებავების წარმოება და გამოყენება
- ძეგლების ფუნქციური დაუტვირთაობა

ინსტიტუციონალური გაუმართაობა

- დაქსაქსულობა
- კონსულტაციების ნაკლებობა
- ნაკლები ინტერაქტიურობა
- თემატური სოფლების არარსებობა

ქმედებები

- მართვისა და ორგანიზების მექანიზმების მოდერნიზაცია

- თვითმართველობის, ასევე კერძო ინიციატივების დონეზე კულტურული და შემოქმედებითი ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა
 - კულტურის სფეროს ადგილობრივი ორგანიზაციების და კერძო სექტორის გაძლიერება
 - ინვესტიციების მოზიდვის, ბიზნესის შესაძლებლობების ხელშეწყობა
 - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა
 - ბიზნესის დაცულობა - (სტატუსი დაცვის სიგელი)
- **ბაზრის, მარკეტინგის განვითარება**
 - მრავალფეროვანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა
 - პროდუქციის ხარისხის განვითარება
 - კომერციალიზაციის და ბიზნესთან მიდგომების ხელშეწყობა
 - ფესტივალების ხარისხის (პროდუქციის და ორგანიზების) გაუმჯობესება
 - რეკლამირების ხელშეწყობა
- **დაფინანსების წყაროების გაზრდა**
 - ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
 - მსხვილი ინვესტიციის განხორციელების მხარდაჭერა
 - სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის მეტი დაფინანსების უზრუნველყოფა
- **განათლების სისტემის პრობლემა**
 - მენეჯმენტისა და მართვის სისტემების თანამდროვე მეთოდოლოგიის დანერგვა
 - თანამშრომლების და კულტურის მოხელეების გადამზადება
 - კადრების კვალიფიკაციის ამაღლება (პროექტების წერა, თანხების მოძიება, პროექტების მართვა)
- **კომუნიკაცია და ქსელური კავშირები**
 - ტურიზმის ინდუსტრიასა და კულტურას შორის კავშირის გაძლიერება
 - ტურისტულ კომპანიებთან კომუნიკაციის მხარდაჭერა
 - კავშირების გაძლიერების საჭიროება მატერიალური და არამატერიალური კულტურის მოღვაწეებს შორის
 - სფეროს მოღვაწეთა შორის კავშირების გაძლიერება, როგორც შიდა რეგიონული, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით
 - საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაძლიერება.